

ქ. თბილისი

„ 01 “ „ 05 “ 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამფუძნებელი მხარეები.

შპს „ენგურჰესი“, შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი ფინანსური დირექტორის ვალერიან კანკიას სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების შესაბამისად, ერთის მხრივ და შპს „სანი“ მისი მენეჯერის თამარ ასანაშვილის სახით, შემდგომში „მთარგმნელად“ წოდებული, მეორეს მხრივ, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საბანი

2.1 შემსყიდველი ავალებს, ხოლო მთარგმნელი განახორციელებს წუნამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების მიხედვით, შემსყიდველის მიერ მიწოდებული აუდიტის ტექნიკური დავალების თარგმნას ქართულიდან ინგლისურ ენაზე.

2.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია მიიღოს მოწოდებული მასალა და გადაიხადოს შესაბამისი ღირებულება.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. სამუშაოს ჯამური ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება თარგმანის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში;

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

4.1. კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრა მთარგმნელის მიერ მოხდება 5 დღის ვადაში მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან, რაც ასახული იქნება მიღება-ჩაბარების აქტში.

5. მხარეთა უზღუბა-მოპალეობები

მთარგმნელი აცხადებს, რომ გააჩნია სათანადო ცოდნა და გამოცდილება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლში გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად. მთარგმნელი ვალდებულია დროულად მიაწოდოს შემსყიდველს შესრულებული თარგმანი; შემსყიდველის მიერ თარგმანის ობიექტური მიზეზების გამო დაწუნების შემთხვევაში მთარგმნელი ვალდებულია დროულად მოახდინოს მისი შეცვლა, კორექტირება; მთარგმნელი ვალდებულია აანაზღაუროს კორექტირების შემთხვევაში წარმოშობილი ხარჯები; შემსყიდველი ვალდებულია 3 დღის ვადაში შეაგყობინოს მომწოდებელს თარგმანის დაწუნების შემთხვევაში; შემსყიდველი ვალდებულია დროულად აანაზღაუროს შესაბამისი ღირებულება;

6. თარგმანის მიწოდების ვადა.

6.1. თარგმანის უნდა იქნას მიწოდებული ხელშეკრულების გაფორმების დღიდან ორი დღის ვადაში.

7. თარგმანის მიღება-ჩაბარების წესი

თარგმანი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ეს უკანასკნელი გაფორმდება მე-4. პუნქტში ნაჩვენები მოთხოვნის შესაბამისად.

8. ხარისხი

8.1. თარგმანი სულ ცოცა უნდა აკმაყოფილებდეს იმ ხარისხს, რომელიც დადგენილია და საზოგადოდ აღიარებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და შესაბამისი, კომპეტენტური ორგანოების მიერ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობები

- 9.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.
- 9.2. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული გარალი.
- 9.3. იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელი 2 დღეზე მეტად გადააცილებს საქონლის მოწოდების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა შემსყიდველის წინაშე მოსაწოდებელი თარგმანის ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.
- 9.4. გადახდის დაგვიანების შემთხვევაში “შემსყიდველი” გადაიხდის “მომწოდებლის” სასარგებლოდ მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

- 10.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
- 10.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები აცხადებენ ერთმანეთს დაუყოვნებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.
- 10.3. ფასთა ცვლილება არ განიხილება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. შორს - მაჟორი

- 11.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური, საომარი მოქმედებებით, ხანძრით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და უშუალოდ გავლენა იქონია მის შესრულებაზე;
- 11.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად;
- 11.3. მხარე, რომელსაც წარმოექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ შეაგყობინოს წერილობით მეორე მხარეს;
- 11.4. შეგყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს სავაჭრო პალატის მიერ.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 31 მაისამდე.
- 12.2 ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადის დენა იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

 3

13. საღაო საკითხების ბალანსება

13.1. მხარეები წამოჭრილ საღაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით წერილობითი შეტყობინებების და შესაბამისი წესით გაფორმებული დოკუმენტების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, საღაო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

14. მხარეთა რეკვიზიტები.

„შემსყიდველი“

შპს „ენგურჰესი“

თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას №8

„მთარგმნელი“

შპს „სანი“

მის. თბილისი, ი. ჭავჭავაძის №68

თი ბი სი ბანკი

პირადი № GE26TB7787936080100001

ს/კ 406045337

საბანკო რეკვიზიტები:

სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის
განყოფილების ზუგდიდის ფილიალი
ბანკის კოდი 220101929
ა/ა 301467126 ს/კოდი-251716371



კანკია



თ. ასანაშვილი